სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

92022556440926

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N260748063**

რეგისტრაციის თარიღი

**08.06.2026 წ**

ნოტარიუსი: ნათია ნოზაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. #22
ტელეფონი: 599 04 04 59

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. თუ რწმუნებულმა ხელშეკრულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებელს აუნაზღაუროს ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რწმუნებულს ამისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი გააჩნდა.

რწმუნებულება შედგა 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნათია ნოზაძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ 26,24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, აქედან: 18,00 (თვრამეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა, 5,00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად 39-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ : 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

„მარწმუნებელი“ ანზორი ლობჟანიძე ანზორი ლობჟანიძე

საქართველოს ნოტარიუსი ნათია ნოზაძე:

**სანოტარო აქტი**

**საქართველო**

ორი ათას ოცდაექვსი წლის **რვა ივნისს,** მე, საქართველოს ნოტარიუს ნათია ნოზაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. №22, მომმართა **ანზორი ლობჟანიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს **ტარიელ სრესელის** მიმართ რწმუნებულების შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ანზორი ლობჟანიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ანზორი ლობჟანიძემ** (დაბ.08.12.1951წ, პირადი №01012007861, პირადობის მოწმობის №25ID01553, გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 2, ბინა 33) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე რწმუნებულების შინაარსი და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები **ანზორი ლობჟანიძეს,** აგრეთვე განვუმარტე ის, რომ მარწმუნებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს რწმუნებულება, რისთვისაც საჭიროა რწმუნებულების სანოტარო წესით გაუქმება. **ანზორი ლობჟანიძემ** დაადასტურა, რომ რწმუნებულება სრულად გამოხატავს მის ნებას. მან პირადად წაიკითხა და მოაწერა ხელი წინამდებარე რწმუნებულებას.

**რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა**

ორიათას ოცდაექვსი წლის **რვა ივნისს, ანზორი ლობჟანიძემ** (დაბ.08.12.1951წ, პირადი №01012007861) რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც **„მარწმუნებელი“**, **ტარიელ სრესელს** (დაბ.13.06.1952წ, პირადი №01001010802), რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც **„რწმუნებული“**, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია მართოს მარწმუნებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება/წილი უძრავი ქონებიდან (შემდეგში „ნივთი“ ან „ქონება“), მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N 30; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ-ს მოპირდაპირედ, ნაკვეთი N 014/002-ის მიმდებარედ), საკადასტრო კოდით: 01.19.36.015.133;

მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში, ბუნებრივი გაზის/ელ.ენერგიის/წყლის/კომუნიკაციების ლიცენზიატებთან ს.ს. „თელასში“, შპს „ყაზტრანსგაზ“-ში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქივში, არქიტექტურის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ სამინისტროში, დეპარტამენტში, სააგენტოში, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებაში, სხვა ნებისმიერ სამართალდამცავ, უფლებადამცავ, ადმინისტრაციულ ორგანოში.

რწმუნებულს უფლება აქვს მარწმუნებლის სახელით: ხელი მოაწეროს განცხადებას, საჩივარს და შეიტანოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში/დაწესებულებაში, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში; მიიღოს ნებისმიერი საბუთი სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არქივებიდან, მათ შორის მარწმუნებლის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი. აწარმოოს ქონების საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება/შეთანხმებასთან და შესაბამისის თანხმობების/ნებართვების/მოწმობების მიღებასთან დაკავშირებული საქმეები. რწმუნებული უფლემაბოლია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ს.ს. „თელასში“, განახორციელოს მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (ს/კ 01.19.36.015.133) ელექტრო ენერგიის შეყვანა, აღირიცხოს ს.ს. „თელასის“ აბონენტად და განახორციელოს მარწმუნებლის სახელით ამისთვის საჭირო დოკუმენტებზე ხელმოწერა. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს ცნობები და დოკუმენტები, მიიღოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის მაგივრად, გადაიხადოს/დაიბრუნოს ბაჟი ან/და სხვა გადასახადები და შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ ამ რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

**რწმუნებულება გაცემულია ჩემი კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების უფლების გარეშე.**

**რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე, განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მარწმუნებლის მიერ მის გაუქმებამდე.**